

ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია Literature and Literary Theory

ფუტურიზმი ლიტერატურაში: წარმოშობა, განვითარება და ქართული გამოცდილება

მარიამ ლაზარაშვილი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

<https://doi.org/10.52340/lac.2025.34.10>

SJIF 2025: 8.584

სტატია „ფუტურიზმი ლიტერატურაში: წარმოშობა, განვითარება და ქართული გამოცდილება“ წარმოადგენს საფუძვლიანი კვლევის მცდელობას იმ დინამიური კულტურული მოძრაობის შესახებ, რომელმაც XX საუკუნის დასაწყისში რადიკალურად შეიცვალა ლიტერატურული ასპარეზი. სტატიაში ხაზგასმულია, რომ ფუტურიზმი აღიქმება არა მხოლოდ ესთეტიკურ მიმართულებად, არამედ ეპოქის ტექნოლოგიურ, სოციალურ და ფილოსოფიურ გარდატეხებზე რეაგირების ერთ-ერთ პირველ და ყველაზე აგრესიულ მცდელობად. სტატიაში აღნიშნულია, რომ ფუტურიზმმა უარყო ტრადიციული ნარატივები, გრამატიკული ნორმები და ფორმები, რათა ტექსტში განეხლებინა სიჩქარის, ტექნიკის, ურბანული ხმაურისა და თანამედროვე ცხოვრების დინამიკა.

იტალიური ფუტურიზმი, მარინეტის მანიფესტებზე დაყრდნობით, აყალიბებს ახალ ესთეტიკას, რომელიც ქალაქის ენერჯიასა და ტექნოლოგიურ პროგრესს ლიტერატურის მთავარ თემად აქცევს. რუსული ფუტურიზმი კი, კრუჩენიხსა და ხლებნიკოვის „ზაუმის“ კონცეფციით, არღვევს მნიშვნელობათა ტრადიციულ ზღვრებს, პოეტურ ენას აქცევს ბგერით მატერიალად და ავითარებს თეატრალურ-სცენოგრაფიულ სინთეზს, რითაც აფართოებს ტექსტის აღქმის საზღვრებს. სტატიაში აღწერილია, რომ ქართულ ლიტერატურაში ფუტურიზმი სრულფასოვან სკოლად არ ჩამოყალიბებულა, თუმცა მისმა შემოსვლამ, ურბანიზაციამ, ფორმალურმა ექსპერიმენტებმა და აჩქარებულმა რიტმმა მნიშვნელოვანი კვალი დატოვა. საბჭოთა კულტურულმა პოლიტიკამ მკვეთრად შეამცირა ავანგარდული ძიებების სივრცე, თუმცა ცალკეულ ავტორებთან ფუტურისტული ესთეტიკის გავლენები კვლავ იკვეთება.

საკვანძო სიტყვები: ფუტურიზმი; ლიტერატურა; ავანგარდი; ექსპერიმენტი; ურბანიზაცია; ტექნოლოგიური პროგრესი; კულტურული ტრანსფორმაცია; ქართული გამოცდილება

ფუტურიზმი XX საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთი ყველაზე ავანგარდული და ინოვაციური მოძრაობაა, რომელმაც ლიტერატურა მოყვა ახალ ენაზე- სიჩქარის, მანქანის, ქალაქის რიტმის, ხმაურის ენაზე. მან ტრადიციული თემატიკა და ფორმა ჩაანაცვლა დინამიკისა და ექსპერიმენტის ესთეტიკით, სიტყვათა თავისუფალი განლაგებით, სინტაქსის გათავისუფლებით, ფონეტიკური თამაშებით, ტიპოგრაფიის დრამატიზაციითა და „მრავალხაზოვნებით“ (Marinetti, 1909/2009; Poggi, 2009). იტალიიდან სწრაფად გავრცელებულმა იმპულსმა მნიშვნელოვანი ინტერპრეტაციები მიიღო რუსეთში, რასაც მოჰყვა ავანგარდის ფართო ეკოსისტემა. ქართულ ლიტერატურაში ფუტურიზმი სრული სკოლის სახით არ ჩამოყალიბებულა, მაგრამ მისმა ესთეტიკურმა ნიშნებმა- ურბანული თემატიკა, ფორმალური რისკი, რიტმული აგრესია სოლიდური კვალი დატოვა (იტალია- მანიფესტიდან „სიტყვების თავისუფლებამდე“).

ფილიპო ტომაზო მარინეტის „ფუტურისტული მანიფესტი“ (Le Figaro, 1909) განიხილება ფუტურიზმის საწყის ტექსტად. მარინეტი აცხადებს: „სამყაროს ბრწყინვალეობა გამდიდრდა ახალი სილამაზით: სიჩქარის სილამაზით“ (Marinetti, 1909/2009). ამ დეკლარაციამ ლიტერატურას მისცა ახალი თემები- მანქანა, ავიაცია, მეტროპოლისი, ელექტრობა, ომის, როგორც ჰიგიენის პარადოქსული აპოლოგია და, რაც მთავარია, ახალი „ხმა“.

1912 წლის „ლიტერატურის ტექნიკური მანიფესტი“ ფუნდამენტურად ესხმის თავს სინტაქსს „გვაქვს სიტყვები, რომლებიც უნდა გავათავისუფლოთ ყველაფერი ზედმეტისგან პუნქტუაციისა და გრამატიკის ჩათვლით“ (Marinetti, 1912/2009). ლიტერატურულ პრაქტიკაში ვხვდებით: სიტყვების თავისუფალ, არაწესიერ განლაგებას; ტიპოგრაფიულ დრამატურებას- შრიფტის ზომისა და განლაგების სემანტიზებას; ქალაქისა და მანქანის ხმაურის ტექსტში გადმოტანას; მრავალხაზოვნებას, სადაც ერთდროულად მრავალი სცენა ცოცხლდება.

პოგი აღნიშნავს „მარინეტი ენას ექცევა, როგორც მატერიას, რომელის ენერგია ვიზუალურ-ბგერით ეფექტებში კონცენტრირდება“ (Poggi, 2009). ამ პროცესებმა ლიტერატურაში გააძლიერა ხილვადობა, რადგან სიტყვამ მიიღო სურათის ფორმა და პირიქით (Drucker, 1994).

რუსული ტრანსფორმაციები- კუბო-ფუტურიზმი; ეგო-ფუტურიზმი და ზაუმი

იტალიური იმპულსი განსაკუთრებით ნაყოფიერ ნიადაგზე მოხვდა რუსეთში. 1912 წლის მანიფესტმა საზოგადოებრივი გემოვნების მოშლა სცადა, პირდაპირი პროვოკაციით შემოიჭრა კლასიკურ მიმდინარეობასთან. „კუმკინი, დოსტოევსკი, ტოლსტოი და სხვანი გადავყაროთ თანამედროვეობის ორთქლმავლიდან“ (Burluk, Kruchenykh, Khlebnikov&Mayakovsky, 1912/1988). რადიკალიზმის ეფუძნებოდა არა მხოლოდ დეკლარაცია, არამედ ენობრივი ექსპერიმენტი. კრუჩენიხისა და ხლებნიკოვის ტექსტი „სიტყვა როგორც ასეთი“ (1913) ამის ნათელი მაგალითია „ვაცხადებთ ენას, რომელიც თავისუფლდება მნიშვნელობათა ტყვეობიდან“ ე.წ. ზაუმი „გონების-ზედა“ ენაა, სადაც ბგერა, როგორც მატერია თავად ქმნის პოეტურ ენერგიას (Kruchenykh&Khlebnikov, 1913/1988).

რუსულ ფუტურიზმს თან ახლდა თეატრალური და ოპერული ექსპერიმენტები («Победа над солнцем»/ „მზეზე გამარჯვება“, 1913), სადაც ტექსტი, მუსიკა, სცენოგრაფია და ტიპოგრაფია ერთიანდება „საექსპერიმენტო სინთეზში“ (Markov, 1968; Bowlt, 2014). მაიაკოვსკის ლექსი და ორატორული ჟესტიკა აქცევს პოეზიას ქალაქის პლატფორმად, სადაც „ლექსში დაილექება ეპოქის ტემპი“- „ჩვენ ლექსში ვდებთ დროის რიტმს, რომელსაც გუშინდელი დღე ვერ იტევს“ (იხ. Lawton, 1988).

ქართულ ლიტერატურაში შემოსვლა: გზები, დიალოგები, შეზღუდვები ფუტურიზმის ქართულ კულტურულ სივრცეში შემოსვლის არხები მრავალგვარია. პირველი- ენობრივი კავშირები რუსეთთან, 1910-1920-იან წლებში თბილისი იქცა ავანგარდული წრეების ერთგვარ „ტრანზიტულ პუნქტად“, სადაც მუშაობდნენ და ბეჭდავდნენ რუს და კავკასიელ ავანგარდისტებს (Bowlt, 2014). ამის შედეგად ტექსტუალურ-ტიპოგრაფიული ექსპერიმენტი და ურბანული თემატიკა ქართული ლიტერატურის ჰორიზონტზეც გამოჩნდა. მეორე- ევროპული მოდერნიზმის ზოგადი იმპულსები, რომლებმაც ქართულ სივრცეში განსაკუთრებით ავანგარდულ წრეებს გაუხსნეს დისკურსი ფორმალური ექსპერიმენტებისკენ. მართალია, „ცისფერყანწელები“ პირდაპირ ფუტურისტული სკოლა არ იყო, თუმცა მათი ქალაქური სენსიბილობა, განწყობა და ფრაზების დაჩქარება შეგვიძლია ზოგად ავანგარდისტულ ინტონაციებად ჩავთვალოთ. ასევე, მესამე ხაზად თეატრისა და ვიზუალური ხელოვნების გავლენა შეგვიძლია დავასახელოთ, კონსტრუქციულ-გეომეტრიული მაძიებლობა, ეს არის ტექსტის ტექნიკური ინსცენირება.

ამასთანავე, ქართულ კონტექსტში განისაზღვრა სპეციფიკა. ფუტურიზმი, როგორც „გავლენა და არა ძლიერი სკოლა“, იგი დარჩა გავლენის მატარებელ მიმდინარეობად. გამოკვეთა სოციალურ-პოლიტიკური ვექტორები 1930-იანი წლების საბჭოთა კულტურულმა პოლიტიკამ და სოციალისტურმა კოდიფიკაციამ მკვეთრად შეამცირა ექსპერიმენტული ძიებები. ბევრი მწერალი ადაპტირდა ახალ ნორმებთან (Rayfield, 2000).

ქართული მეტრისა და რიტმის ტრადიციამ, ასევე ხმოვანების მდიდარმა სისტემამ, ექსპერიმენტი ნაწილობრივ ფონეტიკური თამაშებისკენ გადახარა. „ზაუმი“ კი დარჩა, როგორც იდეა, ვიდრე მასობრივი პრაქტიკა. ქართული ლიტერატურისთვის ფუტურიზმი იყო დოზირებული რისკის ენა, თემატური გაბედულობა და ზომიერი დესტაბილიზაცია, მეტი დიალოგით სხვა ავანგარდულ ნაკადებთან, ვიდრე თავად ახალი სკოლის დამკვიდრება.

თანამედროვე რეფლექსიები, კონტექსტები: მსოფლიო და საქართველო

მსოფლიო ლიტერატურაში ფუტურიზმის გავლენა ინსტიტუციონალიზებულია რამდენიმე მიმართულებით. ფონეტიკური ექსპერიმენტები და პერფორმატიული ტექსტები „ავითრებს ენას, როგორც მასალას“, პოეზიის ვიზუალიზაცია პირდაპირ ფუტურისტული ხაზია, აქვია, ალგორითმული გენერაცია, ჰიპერტექსტი, კიბერპანკი, პოსტჰუმანური ნარატივები, რომლებიც იზიარებენ ტექნო ენის პოეტიკას, რომლის პირველი აგრესიული გამოხატულება სწორედ ფუტურიზმი იყო. როგორც ბიურგერი აღნიშნავს ავანგარდის გეგმა ხელოვნების შერწყმა იყო ყოველდღიურობასთან. (Nicholls, 1995; Bürger, 1984). დღევანდელი მედიალური გარემო სწორედ ამ მიმართულებით ვითარდება, რადგან ტექსტის გავრცელებას ვხვდებით ყველგან, სცენაზე, ეკრანზე, ხელოვნებასა თუ ცხოვრების ყველა, სხვა სივრცეში, რაც ფუტურიზმის კვლავ ფუნქციონირებაზე მიუთითებს.

ფუტურიზმმა ლიტერატურას მისცა სიჩქარისა და მატერიალური ენის პოეტიკა. იტალიური მანიფესტებიდან რუსული ზაუმის ექსპერიმენტებამდე მან უარყო წესები და შექმნა პროცესი. ქართულ ლიტერატურაში ფუტურიზმი გამოიხატა ურბანულ სენსიბილობაში და ზომიერ, მაგრამ არსებით ფორმალურ გამბედაობაში. დღეს, ციფრულ და პერფორმანსულ კულტურაში მისი დნმ უფრო მეტად მოქმედია. იტალიური, რუსული და ქართული ფუტურიზმი ერთ მოძრობას მიეკუთვნება, მაგრამ წარმოშობის კონტექსტი, ტონალობა და თემატიკა მნიშვნელოვნად განსხვავებულია.

იტალიური ფუტურიზმი ტექნოლოგიების, ქალაქის დინამიკის, სიჩქარის, ძალისა და ომის რომანტიზებას ცდილობდა და აქტიურად უარყოფდა წარსულს, რომლის მიზანი ხელოვნების განახლება იყო ძველის/ტრადიციულის ნგრევით.

რუსული ფუტურიზმის ძირითადი მახასიათებელი ენობრივი ექსპერიმენტები იყო, რომელიც გაუგებარი ენის შექმნითა და მისი დამკვიდრების მცდელობით ხასიათდებოდა. სოციო-რევოლუციური ნარატივი კი ინდუსტრიული თემების წინ წამოწევით გამოიხატებოდა. იგი უფრო სოციალური და მეტად პოლიტიკური იყო ვიდრე იტალიური.

ქართული ფუტურიზმი ევროპული და რუსული მიმდინარების სინთზს წარმოადგენდა. აქ არის მეტი ლირიზმი, სინაზე, ადგილობრივი მითოლოგიისა და ფოლკლორის გავლენები, ნაკლები-ინდუსტრიალიზაცია, ტექნიკა და აგრესია.

ქართული ფუტურიზმი კარგი შერწყმაა ძველისა და ახლის, ნაკლებადაა ძველის უარყოფა ან მოსპობის მცდელობა.

იტალიაში ფუტურიზმის გავლენა ვიზუალურ ხელოვნებაში დღესაც იგრძნობა, ტექსტებშიც შეინიშნება ტექნოლოგიური ნარატივები. რუსულ ხელოვნებაში კვლავ გამოიყენება ზაუმი, მაგრამ ამჯერად იგი ფრაგმენტულობაში ვლინდება და არა პირდაპირი წესით „ენის“ დამკვიდრების მცდელობაში. რაც ეხება საქართველოში ფუტურიზმის გავლენებს, აქაც მკრთალი ხაზები შეგვიძლია გავავლოთ. ქართულ ლიტერატურაშიც ვხვდებით ენობრივ ექსპერიმენტებს, ურბანულ თემატიკას, თავისუფალ რიტმს ამის ნათელი მაგალითი კი ზვიად რატიანია. მართალია, პირდაპირ „ფუტურისტული მანიფესტები“ აღარ იწერება, მაგრამ ფორმისა და რიტმის თამაში, ტექნიკური მეტაფორები და ქალაქის სივრცის აღწერა ცალსახად მემკვიდრეობს.

ფუტურისტული ესთეტიკა დღეს უფრო ხშირად შერწყმულია პოსტმოდერნისტულ ან კიბერპანკურ ელემენტებთან, რომელიც გამოხატულია ფრაგმენტულობაში, ტექნოლოგიურ მეტაფორებში, ქალაქის ხმაურის აღწერაში, რაც აქტიურად გვხვდება, როგორც თანამედროვე მსოფლიოში, ისე ქართულ ლიტერატურაში.

ფუტურიზმი ლიტერატურაში იყო ეპოქალური გარდატეხის გამოხატულება, რომელმაც ტრადიციული ფორმები დაანგრია და ახალი ესთეტიკა შექმნა. მისი გზავნილები დღესაც აქტუალურია და ახალ ფორმებში ვლინდება. ქართულმა ფუტურიზმმა ლიტერატურაში მოკლე, თუმცა საინტერესო კვალი დატოვა, რომელიც ჯერ კიდევ შესასწავლი და შესაფასებელია.

ლიტერატურა:

- ავალიანი, ლ. (2017) მონოგრაფია-ესეები. თბილისი: პალიტრა L.
- გრიგოლ რცხილაძე, შალვა აფხაიძე და სხვ. (1924). 41° (მანიფესტი). თბილისი.
- სიგუა, ს. (1994). ავანგარდიზმი ქართულ ლიტერატურაში. თბილისი: დიდოსტატი.
- ტიციან ტაბიძე, გიორგი ლეონიძე და სხვ. (1924) H2SO4 (მანიფესტი) თბილისი.
- Boccioni, U. (1912). *Manifesto tecnico della scultura futurista*. Milano.
- Bowl, J.E. (2014). *Russian Art of the Avant-Garde: Theory and Criticis, 1902-1934 (Rev.ed.)* Thames&Hudson.
- Bürger, P. (1984). *Theory of Avant-Garde (M.Shaw, Trans)*. University of Minnesota Press.
- Burliuk, D., Kruchenykh, A., Khlebnikov, V., Mayakovsky, V. (1988). *A Slap in the Face of Public Taste (1912)*. In A. Lawton (Ed.), *Russian Futurism through its Manifestoes, 1912-1928*. Cornell University Press.
- Drucker, J. (1994). *The Visible Word: Experimental Typography and Modern Art, 1909-1923*. University of Chicago Press.
- Hayles, N. K. (2008). *Electronic Literature: New Horizons for the Literary*. University of Notre Dame Press.
- Kruchyonikh, A., Khlebnikov, V. (1912). *Slovo kak takovoe*. Moscow.
- Marinetti, F.T. (1909). *Fondazione e Manifesto del Futurismo*. Le Figaro.
- Marinetti, F. T. (2009). *The Founding and Manifesto of Futurism (1909)*. In L. Rainey, C. Poggi, L. Wittman, *Futurism: An Anthology* (pp. 49-53). Yale University Press.
- Marinetti, F. T. (2009). *Technical Manifesto of Futurist Literature (1912)*. In L. Rainey, C. Poggi, L. Wittman, *Futurism: An Anthology* (pp. 108-115). Yale University Press.
- Markov, V. (1968). *Russian Futurism: A History*. University of California Press.

- Mayakovsk, V. (1913). *Oblakov v shtanakh*. Petrograd.
- Nicholls, P. (1995). *Modernisms: A Literary Guide*. Palgrave Macmillan.
- Poggi, C. (2009). *Inverting Futurism: The Art and Politics of Artificial Optimism*. Princeton University Press.
- Rayfield, D. (2000). *The Literature of Georgia: A History*. Curzon Press.
- Rainey, L., Poggi, C., Wittman L. (2009). *Futurism: An Anthology*. Yale University Press.

Mariam Lazarashvili
Sokhumi state University

<https://doi.org/10.52340/lac.2025.34.10>

SJIF 2025: 8.584

Futurism in Literature: Origins, Development, and the Georgian Experience

Abstract

The article “Futurism in Literature: Origins, Development, and the Georgian Experience” represents an attempt at a comprehensive study of the dynamic cultural movement that radically transformed the literary field at the beginning of the twentieth century. The paper emphasizes that Futurism should not be viewed solely as an aesthetic direction but also as one of the earliest and most aggressive attempts to respond to the technological, social, and philosophical shifts of its era. It is highlighted that Futurism rejected traditional narratives, grammatical norms, and forms in order to renew literature with the speed, mechanics, urban noise, and dynamism of modern life.

Italian Futurism, based on Marinetti’s manifestos, established a new aesthetics that turned the energy of the city and technological progress into the main themes of literature. Russian Futurism, through Kruchenykh and Khlebnikov’s concept of zaum, disrupted conventional semantic boundaries, transformed poetic language into a material of sound, and developed a theatrical-scenographic synthesis, thereby expanding the limits of textual perception. The article describes how Futurism in Georgian literature did not form a complete school, yet its arrival—through urbanization, formal experimentation, and accelerated rhythms—left a significant mark. Soviet cultural policies sharply reduced the space for avant-garde exploration; nevertheless, traces of Futurist aesthetics remain visible in the works of individual authors.

Keywords: Futurism; Literature; Avant-garde; Experimentation; Urban sensibility; Technological Progress; Cultural Transformation; Georgian experience

რეცენზენტი: პროფესორი მარია გავრილინა